



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
პროგრამის ხელმძღვანელი	თამთა მიქაბერიძე
სწავლების ენა	ქართული, ინგლისური სწავლების კომპონენტებით
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში Bachelor of Business Administration in Management
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	29.10.2012 № 11-12
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	21.11.2018 № 08-18

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

## პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის მქონე, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროს ფართო ცოდნა, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმატებული საქმიანი კომუნიკაციის დამყარების, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების მეშვეობით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და სწორი, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატურ აღქმას, სწრაფ ადაპტირებას და კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას. რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

## სწავლის შედეგები

### ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

- ბიზნესის ადმინისტრირების მეთოდოლოგიური საფუძვლები - ძირითადი თეორიები, კონცეფციები, პრინციპები და მეთოდები;;
- ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის სფეროში არსებული ტერმინოლოგია;
- მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის ფუნდამენტური თეორიები და პრინციპები;
- მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკასთან, ინფლაციასა და უმუშევრობასთან, ბაზრის ფუნქციონირებასა და საბაზრო ეკონომიკის თავისებურებებთან, ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციის განხორციელებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხები;
- მართვის უნივერსალური ბუნების და მენეჯმენტის აუცილებლობა, ორგანიზაციათა მართვის სისტემაში: მიზნებში, სტრუქტურაში, მმართველობით ფუნქციებსა და კომპეტენციებში, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მართვის თანამედროვე მეთოდებში, საორგანიზაციო ურთიერთობათა რაციონალიზაციის მიმართულებებსა და ღონისძიებებში, მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების სტრუქტურაში, ძირითადი მეთოდებისა და მოდელების სპეციფიკის, მენეჯმენტის პროცესთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები;
- ბიზნესის ფუნქციების, ფორმების, მოცულობის და ბიზნეს სექტორების, საერთოდ, ბიზნეს-საქმიანობის დაწყება-გაფართოებასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები;
- ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების (ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული და ინოვაციური მენეჯმენტის, პროექტების, ადამიანური რესურსის მენეჯმენტის, მარკეტინგისა, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების) მართვის ძირითადი პრინციპები და მეთოდები;
- ლოკალურ და გლობალურ ბიზნეს-სამყაროში კომპანიის ფუნქციონირებისა და უპირატესობის მოპოვების სტრატეგიული შესაძლებლობები, სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებისა და სტრატეგიულ ცვლილებათა დაგეგმვა-მართვის ძირითადი მეთოდები;
- ბიზნეს-გარემოსა და კონკურენტული გარემოს ანალიზისათვის, კომპანიის შიდა მმართველობითი გამოკვლევისათვის შესაბამისი ინსტრუმენტები და მეთოდები;
- ბიზნესის მართვის საბაზისო სტრატეგიების შემუშავება-განხორციელებისა და კომპანიის სტრატეგიული პორტფელის შედგენა-მართვის სპეციფიკა, ბიზნესის მართვის სფეროსა და მენეჯმენტის კომპლექსური საკითხები;

- ეკონომიკისა და მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, პროექტების მომზადების, მათი მენეჯმენტისა და იმპლემენტაციის ძირითადი პრინციპები და მეთოდები;
- ბიზნეს-ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მართვის კომპლექსური საკითხები;
- ორგანიზაციების ეროვნულ, საერთაშორისო და გლობალურ ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებები და ტენდენციები, საერთოდ, ბიზნეს-საქმიანობის მახასიათებლებისა და მენეჯმენტის პროცესზე ზემოქმედი ფაქტორების კრიტიკული გააზრება;
- ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში გამოყენებადი მათემატიკური თეორიების, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების, პრაქტიკაში მათი გამოყენების მნიშვნელობა;
- საკადრო და ლიდერული პოტენციალის გამოვლენა-შეფასება-განვითარების საბაზისო მეთოდები, პრაქტიკაში მათი გამოყენების მნიშვნელობის გაცნობიერება;
- თანამედროვე ეკონომიკური ცოდნის განვითარებისა და ინფორმაციულ საზოგადოებაში მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისათვის ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- მართვის მეცნიერებისა და მონათესავე დარგების თანამედროვე მიღწევათა, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის, მოდელებისა და მიდგომების იდენტიფიცირებას, მათ ადეკვატურად შერჩევას და პრაქტიკაში გამოყენებას;
- მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების ადეკვატურად შერჩევას, ბიზნეს ამოცანების გადაჭრისას სათანადო მათემატიკური, მენეჯმენტის სფეროს სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების და ინსტრუმენტების გამოყენებას;
- ბიზნეს პროცესების, ორგანიზაციული გარემოსა და მმართველობითი საქმიანობის ანალიზის, მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებისა და სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება-განხორციელების სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებას;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ბაზრის პირველადი მარკეტინგულ კვლევას, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას და სტატისტიკური მახასიათებლების დადგენას;
- ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის ძირითადი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას, სამეურნეო ოპერაციების ფინანსურად აღრიცხვას და ფინანსური ანგარიშგებების შედგენას, ხარჯთაღრიცხვისწარმოების, პროდუქციის თვითღირებულების დაანგარიშებას, ბიუჯეტის შედგენას;
- როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ მუშაობას, ლიდერული პოტენციალის გამოვლენასა და მმართველობით ფუნქციას (დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივირების, კონტროლისა და კოორდინაციის) განხორციელებას, საკადრო ღონისძიებათა დასახვას;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროებში (ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული, ინოვაციური და საერთაშორისო მენეჯმენტი, პროექტების, ადამიანური რესურსის მენეჯმენტი, ლიდერობა, მარკეტინგი, ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები) კვლევითი სამუშაოების შესრულებასა და/ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას;

**დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ბიზნეს-გარემოს, ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების და შიდა ორგანიზაციული პროცესების ანალიზს და შეფასებას სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, პრობლემური საკითხების გამოვლენა-კვლევას, შედეგად მიღებული რაოდენობრივი თუ თვისობრივი ინფორმაციის ანალიზს, მონაცემთა განმარტებას, საჭიროების შემთხვევაში მათ განზოგადებას, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას, მმართველობით გადაწყვეტილებათა და სარეკომენდაციო წინადადებების შეთავაზებას ბიზნესისა და მენეჯმენტის ფუნქციონალური სფეროების შესაბამისად;
- კომპანიის მიკრო-მაკრო გარემოს, ორგანიზაციის საწარმოო ოპერაციებისა და მმართველობითი საქმიანობის შესწავლა, SWOT-ანალიზის და სხვა სტანდარტული და გამორჩეული მეთოდებით მიღებული რაოდენობრივი თუ თვისობრივი ინფორმაციის ანალიზს, მენეჯმენტის პროცესზე ზემოქმედი ფაქტორების ახსნა-განზოგადებას, ორგანიზაციის მიკრო/მაკრო გარემოს ცვლილებათა იდენტიფიკაციის, მათ ანალიზს, შეფასებას, დასაბუთებული დასკვნისა და გადაწყვეტილებების შეთავაზებას შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების თაობაზე;
- სფეროსათვის დამახასიათებელი სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და არგუმენტირებული წინადადებების შეთავაზებას ახალი საბაზრო შესაძლებლობების გამოყენებას, ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო პროგრამების შემუშავების თაობაზე;

- კომპანიის საკადრო და ლიდერული პოტენციალის გამოვლენა-განვითარების პირობების შეფასებას, საკადრო და ბიზნეს-სტრატეგიების შესაბამისობის ხელმძღვანელობის სტილისა და სტრატეგიის ანალიზს სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; პრობლემური სფეროების გამოვლენას, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირებას, შეგროვებას, განზოგადებას, ანალიზს, დასაბუთებულ დასკვნების ჩამოყალიბებას და სარეკომენდაციო წინადადებების შეთავაზებას სამოქმედო გეგმებისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე.

**კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- გლობალურ კომპიუტერულ ქსელებსა და კორპორატიულ საინფორმაციო სისტემებში ინფორმაციასთან მუშაობას; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად, შემოქმედებითად გამოყენებას, ამასთან, როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი ინფორმაციის მოპოვებას, შენახვას, გადამუშავებას, განზოგადებას;
- დაინტერესებული პირებისათვის (როგორც სპეციალისტები, ისე არასპეციალისტები) სათანადო ინფორმაციის მიწოდებას, დასმული პრობლემის აღწერას და პრობლემის გადაჭრის მისეული მოსაზრებების გასაგებად გადაცემას ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე საკუთარი მოსაზრებების, მოხსენებების, როგორც წერილობით, ისე ზეპირად ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით ლოგიკურად, არგუმენტირებულად და ნათლად ჩამოყალიბებას, ტექნიკური საშუალებების თანხლებით პრეზენტაციის ფორმით წარმოდგენას და დისკუსიაში მონაწილეობას;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე საქმიანი ურთიერთობების განხორციელებას: საჯარო გამოსვლები, მოლაპარაკებები, თათბირების ჩატარება, საქმიანი მიმოწერა, ელექტრონული კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- მოხსენების ან ესსეს ჩარჩოებში გამოკვლეული პრობლემატური საკითხის გადმოცემას, დეტალური ანგარიშის მომზადებას, საკუთარი პოზიციის ლოგიკური არგუმენტირებას და დისკუსიებში მონაწილეობის მიღებას.
- პროფესიული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას.

**სწავლის უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროში საკუთარი სწავლის პროცესის თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის (მათ შორის მენეჯმენტში საინფორმაციო ტექნოლოგიების) გამოყენებით ცოდნის გაღრმავებას, საკუთარი ცოდნის დონის თვითშეფასებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების ღონისძიებათა დასახვა-განხორციელებას;
- ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატურ შეფასებას; ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებისა და ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და დარგობრივი ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება-გაცნობას;
- ინტელექტუალური განვითარების, კულტურული დონის, პროფესიული კომპეტენციის ამაღლების საჭიროების გაცნობიერებას და ამ მიზნით შემეცნების მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას;
- მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, პროფესიული ინტერესების გამოკვეთას, ცოდნის სრულყოფის საჭიროებების იდენტიფიცირებას, ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული კომპეტენციების სრულყოფის მიმართულებათა შერჩევას და შესაბამისად სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), სხვადასხვა სასერტიფიკატო/სატრენინგო კურსებზე და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებზე.

**ღირებულებები**

კურსდამთავრებულს შეძლებს:

- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ცივილიზებული ეთიკური ნორმებით მისი წარმართვის მნიშვნელობის გაცნობიერებას;
- ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების, პიროვნების ღირსების, ჯგუფის წევრთა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების, კონკურენტულ გარემოში ურთიერსარგებლიანობის პრინციპის პატივისცემას;
- კოლექტივში თვითდამკვიდრებას და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჰეტეროგენულ კოლექტივში მუშაობას, მმართველობით გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა შედეგების გათვალისწინებას სოციალური პასუხისმგებლობის პოზიციიდან;
- პროფესიული, ორგანიზაციული, ეთიკური, სოციალური ნორმების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვას, სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს-ეთიკის ნორმების დაცვას.

**აგრეგირებული სწავლის შედეგები**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ:

- (A) კურსდამთავრებულმა იცის სხვადასხვა დისციპლინის მეცნიერული, თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები; ეკონომიკის პრინციპების ფუნდამენტური თეორიები და პრინციპები; ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების (ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული და ინოვაციური მენეჯმენტის, პროექტების და ადამიანური რესურსის მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსური აღრიცხვის), მართვის ძირითადი პრინციპები. ლოკალურ და გლობალურ ბიზნეს გარემოში კომპანიის ფუნქციონირებისა და სტრატეგიების ლავირების საკითხები;
- (B) კურსდამთავრებულს შეუძლია ლოკალურ და საერთაშორისო ბაზარზე ბიზნეს პროცესების ანალიზისა და სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობისას შესაბამისი სტატისტიკური და ფინანსური ინფორმაციის დამუშავება, კვლევითი სამუშაოების შესრულება და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება ინდივიდუალურად და ჯგუფურად;
- (C) კურსდამთავრებული ახდენს ბიზნესის გარე და შიდა გარემოს, კონკურენტუნარიანობის, სტრატეგიის ანალიზს, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და რეკომენდაციების შეთავაზებას SWOT ანალიზის, სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის და სხვა სტანდარტული და/ან გამორჩეული მეთოდებით. და ამის საფუძველზე ზეპირი და წერილობითი ანგარიშის წარდგენა აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- (D) კურსდამთავრებული თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ახდენს შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; შეუძლია ცოდნის ამაღლება დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, კვლევის მეთოდების ამოცნობა და საბაკალავრო პროექტზე მუშაობა;
- (E) კურსდამთავრებული აანალიზებს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას, და ცივილიზებული ნორმებით მისი წარმართვის აუცილებლობას, შეუძლია ორგანიზაციული, ეთიკური, სოციალური ნორმების ფორმირების პროცესში მონაწილეობა.

#### სწავლება-სწავლის მეთოდი

ლექცია  სამუშაო ჯგუფში მუშაობა  პრაქტიკული მუშაობა  სემინარი  ელექტრონული რესურსით სწავლება

ელექტრონული სწავლება  სხვა

#### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნითი შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**შეფასების ფორმები და კომპონენტები**

შეფასების ფორმები და კომპონენტები	მაქსიმალური ქულა
<b>შუალედური შეფასება, მათ შორის:</b>	<b>70 ქულა</b>
წერიტი/ზეპირი გამოკითხვა	30
შუალედური წერიტი/ზეპირი გამოცდა	30
ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია	10
<b>დასკვნითი შეფასება</b>	<b>30 ქულა</b>
დასკვნითი წერიტი/ზეპირი გამოცდა	30
<b>სულ</b>	<b>100 ქულა</b>



საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

### დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო ქართულ და უცხოურ კომპანიებში ქვედა და/ან შუალედური რგოლის მენეჯერის პოზიციაზე, ეფექტიანად განახორციელოს პროფესიული, მათ შორის საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეწარმეო ან სხვ. საქმიანობა, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია აკადემიური ხარისხი-ბინჯის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ.; საერთაშორისო ურთერთობების დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - საგარეო საქმეთა სამინისტროში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ბიბლიოთეკებში, სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიან პროექტებში და ა.შ.; თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში -სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვა.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც დაშვების წინაპირობად მიიჩნევა/არ კრძალავს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიურ ხარისხს.

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

*შენობა-ნაგებობანი* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის 24-სათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

*ბიბლიოთეკა* - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline). სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

## სწავლების ორგანიზების თავისებურებები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, საიდანაც 174 კრედიტი არის ძირითადი სპეციალობის კომპონენტი: სავალდებულო სასწავლო კურსები 168 კრედიტი და არჩევით სასწავლო კურსები 6 კრედიტის მოცულობით. დარჩენილი 66 კრედიტის დასაგროვებლად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან ან აიღოს 60 კრედიტის მოცულობით ერთ-ერთი დამატებითი სპეციალობიდან: თეოლოგია, ტურიზმი, საერთაშორისო ურთიერთობები და 6 კრედიტი სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2)

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2.2).

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე.

განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

- ინგლისური ენა (A1) - 21 - 40 ქულა
- ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა
- ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა
- ინგლისური ენა (B1.2) – 62 - 71 ქულა
- ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა
- ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

**შენიშვნა:** ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს A1 დონიდან.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 24 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 12 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2.2)

ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის

დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერთიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური



ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ,

სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78 **შენიშვნა:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	მოდული/საგანი	წინაპირობა	ECTS კრედიტი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები												
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები		6/150								47	103
2.	კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა			6/150							47	103
3.	ფსიქოლოგიის საფუძვლები		6/150								47	103
4.	ევროპა და საქართველო						6/150				47	103

	ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები												
5.	ბიზნესის საფუძვლები			6/150								33	117
6.	მიკროეკონომიკის პრინციპები		6/150									33	117
7.	კალკულუსი		6/150									47	103
8.	მაკროეკონომიკის პრინციპები	მიკროეკონომიკის პრინციპები		6/150								33	117
9.	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის	კალკულუსი		6/150								33	117
10.	ფინანსური აღრიცხვა				6/150							47	103
11.	მენეჯმენტის საფუძვლები				6/150							33	117
12.	ფინანსების საფუძვლები	მაკროეკონომიკა; მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის			6/150							33	117
13.	სტატისტიკა ბიზნესისათვის	ბიზნესის საფუძვლები; მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში			6/150							47	103

14.	მმართველობითი აღრიცხვა	ფინანსური აღრიცხვა				6/150					33	117
15.	მარკეტინგის საფუძვლები					6/150					33	117
16.	საერთაშორისო მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები				6/150					33	117
17.	რისკების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები,				6/150					33	117
18.	პროექტების მართვის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები						6/150			33	117
19.	შესავალი ინოვაციურ მენეჯმენტში	მენეჯმენტის საფუძვლები						6/150			33	117
20.	ოპერაციული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები						6/150			33	117
21.	ლიდერობის შესავალი	მენეჯმენტის საფუძვლები				6/150					33	117
22.	საგადასახადო საკმის საფუძვლები	ფინანსური აღრიცხვა; ფინანსების საფუძვლები				6/150					33	117
23.	დარგობრივი ინგლისური ენა ბიზნესისთვის	ინგლისური ენა B2/2				6/150					92	58
24.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები						6/150			33	117
25.	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები				6/150					33	117

26.	საბაკალავრო პროექტი	I-VII სემესტრების ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწ. კურსები								10/250	32	218	
27.	პრაქტიკა	I-VII სემესტრების ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწ. კურსები								8/200	120	80	
			<b>არჩევა შესაძლებელია</b>								<b>ECTS</b>		
<b>ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები</b>													
28.	ორგანიზაციული ქცევა	მენეჯმენტის საფუძვლები				+	+	+	+	+	6/150	33	117
29.	არაკომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები				+	+	+	+	+	6/150	33	117
30.	საბანკო ოპერაციები და მათი მართვა	ფინანსების საფუძვლები				+	+	+	+	+	6/150	33	117
31.	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა					+	+	+	+	+	6/150	33	117
32.	ფირმის ეკონომიკა	მიკროეკონომიკის პრინციპები				+	+	+	+	+	6/150	33	117
33.	საბანკო საქმე	მაკროეკონომიკის პრინციპები				+	+	+	+	+	6/150	33	117
34.	მართვის ფსიქოლოგია				+	+	+	+	+	+	6/150	33	117

35.	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	ფინანსების საფუძვლები ფინანსური აღრიცხვა				+	+	+	+	+	6/150	33	117
36.	კორპორაციის ფინანსები	ფინანსების საფუძვლები; მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის				+	+	+	+	+	6/150	33	117
37.	ინვესტიციების მართვა	ფინანსების საფუძვლები				+	+	+	+	+	6/150	33	117
38.	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	ფინანსების საფუძვლები				+	+	+	+	+	6/150	33	117
39.	რისკები და დაზღვევა	ბიზნესის საფუძვლები				+	+	+	+	+	6/150	33	117
40.	ეკონომიკური აზრის ისტორია				+	+	+	+	+	+	6/150	33	117
41.	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და მართვა	მაკროეკონომიკის პრინციპები			+	+	+	+	+	+	6/150	33	117
42.	საქართველოს ეკონომიკა	მაკროეკონომიკის პრინციპები			+	+	+	+	+	+	6/150	33	117
43.	მსოფლიო ეკონომიკა (ძირითადი ასპექტები)				+	+	+	+	+	+	6/150	33	117
44.	ლოგისტიკა	მარკეტინგის საფუძვლები				+	+	+	+	+	6/150	33	117



45.	მართვის სოციოლოგია				+	+	+	+	+	+	6/150	33	117
46.	შესავალი ბიზნეს სამართალში	ბიზნესის საფუძვლები			+	+	+	+	+	+	6/150	47	103
47.	საერთაშორისო მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები					+	+	+	+	6/150	33	117
48.	რეკლამის მენეჯმენტის საფუძვლები	მარკეტინგის საფუძვლები;				+	+	+	+	+	6/150	33	117
49.	მომხმარებელთა ქცევა	მარკეტინგის საფუძვლები				+	+	+	+	+	6/150	33	117
50.	ეკონომიკური ანალიზი	ფინანსური აღრიცხვა			+	+	+	+	+	+	6/150	33	117
51.	ბრენდინგი	მარკეტინგის საფუძვლები;					+	+	+	+	6/150	33	117
52.	აუდიტის საფუძვლები	ფინანსური აღრიცხვა				+	+	+	+	+	6/150	33	117
53.	საერთაშორისო ბიზნესი <i>(ინგლისურად/ქართულად სტუდენტის არჩევის შესაბამისად)</i>	ბიზნესის საფუძვლები <i>(ინგლისური ენა B2/2)<sup>1</sup></i>			+	+	+	+	+	+	6/150	33	117

<sup>1</sup>შენიშვნა: წინაპირობა ინგლისური ენა B2/2 მხოლოდ იმ სტუდენტებისათვის, ვინც აღნიშნულ სასწავლო კურსს ინგლისურ ენაზე გაივლის.

54.	კორპორატიული კომუნიკაცია	მენეჯმენტის საფუძვლები; ინგლისური ენა B2/2						+	+	+	+	6/150	33	117
55.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	საოფისე კომპიუტერული პროგრამები; მენეჯმენტის საფუძვლები					+	+	+	+	+	6/150	33	117
56.	მეწარმეობა და ბიზნეს მოდელები	მენეჯმენტის საფუძვლები ინგლისური ენა B2/2						+	+	+	+	6/150	33	117
57.	საერთაშორისო საფინანსო საკრედიტო ურთიერთობები	საერთაშორისო ბიზნესი					+	+	+	+	+	6/150	33	117
58.	შიდა აუდიტი						+	+	+	+	+	6/150	33	117
59.	ეკონომიკური გამოწვევების ისტორია							+	+	+	+	6/150	33	117
60.	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა				+	+	+	+	+	+	+	6/150	33	117
61.	ეთიკა		+	+	+	+	+	+	+	+		6/150	33	117
62.	ლოგიკა		+	+	+	+	+	+	+	+		6/150	33	117
63.	სოციოლოგიის საფუძვლები		+	+	+	+	+	+	+	+		6/150	33	117
64.	ფილოსოფიის შესავალი		+	+	+	+	+	+	+	+	+	6/150	33	117

65.	საზოგადოებასთან ურთიერთობა							+	+	+	+	6/150	33	117
66.	ციფრული მარკეტინგი							+	+	+	+	6/150	33	117
	<b>საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები</b>													
67.	შესავალი სამართალში											6/150	47	103
68.	რელიგია და საზოგადოება											6/150	47	103
69.	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო											6/150	47	103
	<b>ინგლისური ენის კომპონენტი</b>													
70.	ინგლისური ენა A1 <sup>2</sup>		6/150										92	58
71.	ინგლისური ენა A2	ინგლისური ენა A1	6/150										92	58
72.	ინგლისური ენა – B1/1	ინგლისური ენა A2	6/150										92	58
73.	ინგლისური ენა – B1/2*	ინგლისური ენა B1/1		6/150									92	58
74.	ინგლისური ენა – B2/1*	ინგლისური ენა B1/2			6/150								92	58

<sup>2</sup> შენიშვნა: ინგლისური ენის დონეებზე მითითებული სემესტრები იცვლება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ დონის განმსაზღვრელი ტესტის შედეგების საფუძველზე

75.	ინგლისური ენა – B2/2	ინგლისური ენაB2/1				6/150						92	58	
სემესტრი			30	30	30	30	30	30	30	30				
წელიწადში			60		60		60		60					
სულ			240											

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> <li>პროგრამის მიზანია ევროპული ღირებულებების მქონე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის მენეჯმენტში მომზადება. რომელსაც ექნება მეცნიერული, თეორიულ და მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიტიკულ გააზრებას ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტის, ფინანსების და მარკეტინგის სფეროში.</li> </ul>	<p>(A) კურსდამთავრებულმა იცის სხვადასხვა დისციპლინის მეცნიერული, თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები; ეკონომიკის პრინციპების ფუნქციონალური თეორიები და პრინციპები; ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების (ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული და ინოვაციური მენეჯმენტის, პროექტების და ადამიანური რესურსის მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსური აღრიცხვის), მართვის ძირითადი პრინციპები. ლოკალურ და გლობალურ ბიზნეს გარემოში კომპანიის ფუნქციონირებისა და სტრატეგიების ლავირების საკითხები.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს სხვადასხვა დისციპლინათა ურთიერთდაკავშირების გზით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მულტიკულტურულ გარემოში სწორი და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება.</li> </ul>	<p>(B) კურსდამთავრებულს შეუძლია ლოკალურ და საერთაშორისო ბაზარზე ბიზნეს პროცესების ანალიზსა და სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობისას შესაბამისი სტატისტიკური და ფინანსური ინფორმაციის დამუშავება, კვლევითი სამუშაოების შესრულება და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება ინდივიდუალურად და ჯგუფურად.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სხვადასხვა სასწავლო კურსების კომპონენტების დაკავშირების გზით მიღებული ცოდნის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოებისთვის გაზიარების უნარი.</li> </ul>	<p>(C) კურსდამთავრებული ახდენს ბიზნესის გარე და შიდა გარემოს, კონკურენტუნარიანობის, სტრატეგიის ანალიზს, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და რეკომენდაციების შეთავაზებას SWOT ანალიზის, სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის და სხვა სტანდარტული და/ან გამორჩეული მეთოდებით. და ამის საფუძველზე ზეპირი და წერილობითი ანგარიშის წარდგენა აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის და პირველადი კვლევის განხორციელების უნარი, ასევე კურსდამთავრებულმა შეძლოს გამოკვეთონ საკუთარი პროფესიული ინტერესები და ცოდნის სრულყოფა სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე.</li> </ul>	<p>(D) კურსდამთავრებული თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ახდენს შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; შეუძლია ცოდნის ამაღლება დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, კვლევის მეთოდების ამოცნობა და საბაკალავრო პროექტზე მუშაობა.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დაცვის უნარი.</li> </ul>	<p>(E) კურსდამთავრებული აანალიზებს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას, და ცივილიზებული ნორმებით მისი წარმართვის აუცილებლობას, შეუძლია ორგანიზაციული, ეთიკური, სოციალური ნორმების ფორმირების პროცესში მონაწილეობა.</p>

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

D	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები				
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	D	P		X	X	X	
2.	კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა	D					X	X
3.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	D						X
4	ევროპა და საქართველო	I	D	X	X	X	X	X
5	ბიზნესის საფუძვლები	I	D	X	X	X		
6	მიკროეკონომიკის პრინციპები	D	P	X	X		X	
7	კალკულუსი	D	P		X		X	
8	მაკროეკონომიკის პრინციპები	D	P	X	X		X	
9	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	D	P		X		X	
10	ფინანსური აღრიცხვა	I	D		X	X	X	
11	მენეჯმენტის საფუძვლები	I	D	X	X	X		X
12	ფინანსების საფუძვლები	I	I	X	X	X	X	
13	სტატისტიკა ბიზნესისთვის	D	P		X	X	X	



14	მმართველობითი აღრიცხვა	I	D		X	X	X	
15	მარკეტინგის საფუძვლები	I	D	X	X	X	X	
16	საერთაშორისო მენეჯმენტი	D		X	X	X	X	X
17	რისკების მართვა	D	P		X	X	X	X
18	პროექტების მართვის საფუძვლები	D	P	X	X	X	X	X
19	შესავალი ინოვაციურ მენეჯმენტში	D		X		X	X	
20	ოპერაციათა მენეჯმენტი	D	P	X	X	X	X	X
21	ლიდერობის შესავალი	I	D			X	X	X
22	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	D		X	X	X	X	X
23	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	D		X		X	X	X
24	ინგლისური ენა – B2/2	P	M			X	X	
25	დარგობრივი ინგლისური ენა ბიზნესისთვის	P	M		X	X	X	
26	საგადასახადო საქმის საფუძვლები	D	P		X	X		
27	საბაკალავრო პროექტი	P	M	X	X	X	X	X
28	პრაქტიკა	P	M	X	X	X	X	X

**კურსის სტატუსი**

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	ბიზნესის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
2.	მიკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X	X	X	
3.	კალკულუსი	X	X	X		X	
4.	მაკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X		X	
5.	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	X	X	X		X	
6.	ფინანსური აღრიცხვა	X	X	X	X	X	
7.	მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
8.	მმართველობითი აღრიცხვა	X	X	X	X	X	
9.	ფინანსების საფუძვლები	X	X	X	X	X	X
10.	სტატისტიკა ბიზნესისთვის	X	X	X	X	X	X
11.	მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X	X	X	
12.	საერთაშორისო მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
13.	პროექტების მართვის საფუძვლები	X	X	X	X		
14.	შესავალი ინოვაციურ მენეჯმენტში	X	X	X	X	X	X
15.	ლიდერობის საფუძვლები	X	X	X	X		X

16.	ოპერაციათა მენეჯმენტი	X	X	X	X		
17.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X	X		X
18.	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	X	X	X	X		X
19.	საგადასახადო საქმის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
20.	საბაკალავრო პროექტი	X	X	X	X	X	X
21.	პრაქტიკა		X	X	X	X	X
22.	ორგანიზაციული ქცევა	X	X	X	X		X
23.	არაკომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტი	X	X	X	X		
24.	საბანკო ოპერაციები და მათი მართვა	X	X	X	X	X	
25.	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	X	X	X	X	X	
26.	ფირმის ეკონომიკა	X	X	X	X	X	
27.	საბანკო საქმე	X	X	X	X	X	X
28.	მართვის ფსიქოლოგია	X	X	X	X	X	X
29.	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X	X		
30..	კორპორაციის ფინანსები	X	X	X	X	X	
31.	ინვესტიციების მართვა	X	X	X	X	X	
32.	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	X	X	X	X	X	
33.	რისკები და დაზღვევა	X	X	X	X	X	X
34.	რისკების მართვა	X	X	X	X		
35.	ეკონომიკური აზრის ისტორია	X	X	X	X	X	
36.	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და მართვა	X	X	X	X		X

37.	საქართველოს ეკონომიკა	X	X	X	X	X	
38.	მსოფლიო ეკონომიკა (ძირითადი ასპექტები)	X	X	X	X	X	
39.	ლოგისტიკა	X	X	X	X	X	
40.	მართვის სოციოლოგია	X	X	X	X	X	X
41.	შესავალი ბიზნეს სამართალში	X	X	X			X
42.	საერთაშორისო მარკეტინგი	X	X	X	X	X	X
43.	რეკლამის მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
44.	მომხმარებელთა ქცევა	X	X	X	X	X	
45.	ეკონომიკური ანალიზი	X	X	X	X	X	
46.	ბრენდინგი	X	X	X	X	X	X
47.	აუდიტის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
48.	საერთაშორისო ბიზნესი	X	X	X	X	X	X
49.	დარგობრივი ინგლისური ენა ბიზნესისთვის	X	X		X		X
50.	კორპორატიული კომუნიკაცია	X	X	X	X		
51.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	X	X	X	X	X	
52.	მეწარმეობა და ბიზნეს მოდელები	X	X	X	X		X
53.	საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები	X	X	X	X	X	X
54.	შიდა აუდიტი	X	X	X	X	X	X
55.	ეკონომიკური გამოწვევების ისტორია	X	X	X	X	X	
56.	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა	X	X	X	X	X	X
57.	კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა	X	X	X	X	X	X

58.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	X	X		X	X	
59.	ინგლისური ენა B1/1	X	X		X	X	
60.	ინგლისური ენა B1/2	X	X		X	X	
61.	ინგლისური ენა B2/1	X	X		X	X	
62.	ინგლისური ენა B2/2	X	X		X	X	
63.	ინგლისური ენა A1	X	X		X	X	
64.	ინგლისური ენა A2	X	X		X	X	
65.	ეთიკა	X	X	X	X	X	X
66.	ლოგიკა	X	X	X	X	X	X
67.	სოციოლოგიის საფუძვლები	X	X	X	X		X
68.	ფილოსოფიის შესავალი	X	X	X	X		X
69.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	X	X		X
70.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	X	X	X	X		X
71.	ციფრული მარკეტინგი	X	X	X	X	X	X
72.	ევროპა და საქართველო	X	X	X	X	X	X
73.	მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო	X	X	X	X	X	X
74.	რელიგია და საზოგადოება	X	X	X	X	X	X
75.	შესავალი სამართალში	X	X	X	X	X	X